ქართული

2018-2022
წლების ეროვნული
სასწავლო გეგმის
მისაღწევი
შედეგებისა და
ინდიკატორების
მიხედვით

2

ტესტების რვეული

ლელა ქეშელაშვილი
ელენე პიკალიშვილი

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

ტესტი 1 ქართ.II.6.
მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა. 4

ტესტი 2 ქართ.II.7.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ.,ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება. 10

ტესტი 3 ქართ.II.8.
მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით. 14

ტესტი 4 ქართ.II.9.
მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება. 17

ტესტი 5 ქართ.II.10.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა. 19

ტესტი 6 ქართ.II.11.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება. 23

ტესტი 7 ქართ.II.12.
მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად. 27

ტესტი 8 ქართ.II.13.
მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. 32

ტესტი 9 ქართ.II.14.
მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა. 35

ტესტი 10 ქართ.II.15.
მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად. 41

ტესტი 1

ქართ.II.6.

მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

1. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

კეთილი მეზობელი

პატარა ნიკოს ფრანის გაკეთება უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ. ერთხელ ეზოში დაფიქრებული ბოლთას სცემდა და ისევ საოცნებო ფრანზე ფიქრობდა. უცებ გვერდით მეზობლის ბიჭმა, გიგამ, ჩაურბინა ძაფზე გამობმული ლურჯი ქაღალდით ხელში, რომელიც ქარში ისე დაფრიალებდა, ფრენას მოგანდომებდა.

– ეგ ფრანი შენ გააკეთე? – ჰკითხა ნიკომ.

– დიახ, მე გავაკეთე. მოგწონს?

– ძალიან. შეგიძლია, მეც გამიკეთო?

– რა თქმა უნდა. თუ გინდა, გასწავლი კიდეც და როცა მოგინდება, მაშინ გააკეთებ, – შესთავაზა გიგამ.

გახარებულმა ნიკომ მადლობა გადაუხადა კეთილ მეზობელს და ფერადი ქაღალდების მოსატანად გაიქცა. გიგაც კმაყოფილი იყო, ნამუშევარი რომ მოუწონეს. ბიჭები დამეგობრდნენ და ყველა მსურველს ეხმარებოდნენ ფრანის დამზადებაში.

ა. რაზე ოცნებობდა ნიკო?

- [ ] ფრანის დამზადებაზე
- [ ] ეზოში თამაშზე
- [ ] ქაღალდის გემის გაკეთებაზე

ბ. ვინ იყო გიგა?

- [ ] ნიკოს კლასელი
- [ ] ნიკოს ნათესავი
- [ ] ნიკოს მეზობელი

გ. რა შესთავაზა გიგამ ნიკოს?

- [ ] თავისი ფრანით ერთად ეთამაშათ.
- [ ] ფრანის გაკეთება ესწავლებინა.
- [ ] ფრანთან ერთად სურათი გადაეღო.

დ. რატომ გადაუხადა ნიკომ გიგას მადლობა?

- [ ] გიგას სიკეთის გამო მადლობელი იყო.
- [ ] იცოდა, მადლობის გადახდა ზრდილობიანი საქციელია.
- [ ] უნდოდა, გიგა გაეხარებინა.

ე. რამ დაამეგობრა ბიჭები?

- [ ] ნიკოს მადლობამ.
- [ ] გიგას სიკეთემ.
- [ ] ორივე პასუხი სწორია.

2. შეავსე წინადადებები ქვემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით.

ა. ანამ მეგობარს დღიური _____ და _____ სთხოვა _____ დაეწერა.

ათხოვა / შთაბეჭდილებები

მიანწოდა / ფიგურები

გამოართვა / ყველაფერი

ბ. გიორგი _____ გუნდის კალათაში ბურთის ჩაგდებას _____.

საკუთარი / ცდილობდა

მოწინააღმდეგე / წვალობდა

მოწინააღმდეგე / ცდილობდა

გ. ბებომ ხილი _____, მზეზე დააწყო და

ზამთრისათვის _____ გააკეთა.

დაჭრა / ჩირი

გააშრო / კომპოტი

დანაყა / სალათი

დ. ნინიმ საშინაო დავალება _____

შეასრულა და _____ დაიმსახურა.

ზერელედ / შექება

გულდასმით / მადლობა

უყურადღებოდ / ტაში

3. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და მონიშნე სწორი პასუხი.

ყველაზე პატარა დათვი

დათვებს შორის ყველაზე პატარაა ტუჩა დათვი. ტუჩა დათვი ცხოვრობს ინდოეთში და შრი-ლანკაზე. მას სხვა დათვებისაგან შავი და გრძელი ბეწვი განასხვავებს. ტუჩა დათვს მოთეთრო დრუნჩი აქვს. დრუნჩზე ბეწვი არ ეზრდება, ამიტომ ტუჩები კარგად უჩანს. სწორედ ეს არის მისი სახელწოდების მიზეზი.

ტუჩა დათვი ბუნაგს იკეთებს მხოლოდ თავშესაფრის მიზნით. მას ზამთარში არ სძინავს.

ა. როგორი შეფერილობა აქვს ტუჩა დათვის დრუნჩს?

- [ ] მოწითალო
- [ ] მოშავო
- [ ] მოთეთრო

ბ. სად ცხოვრობს ტუჩა დათვი?

- [ ] მხოლოდ ინდოეთში
- [ ] შრი-ლანკაზე და ინდოეთში
- [ ] მხოლოდ შრი-ლანკაზე

გ. ტუჩა დათვს ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ...

- [ ] დრუნჩზე ბეწვებს შორის კარგად ჩანს ტუჩები.
- [ ] დრუნჩზე ბეწვები არ ეზრდება და ტუჩები კარგად ჩანს.
- [ ] დიდი ტუჩები აქვს და კარგად ჩანს.

დ. ტუჩა დათვი თავშესაფარს იმიტომ იშენებს, რომ...

- [ ] ზამთარში კარგად გამოიძინოს.
- [ ] უსაფრთხოდ იყოს.
- [ ] შვილები გაზარდოს.

ე. თუ დათვი ბუნაგს იკეთებს იმისთვის, რომ ზამთარში დაიძინოს, ხოლო ტუჩა დათვს ბუნაგი მხოლოდ თავშესაფრისთვის სჭირდება, მაშინ

- [ ] ტუჩა დათვს ზამთარში მხოლოდ სძინავს.
- [ ] ტუჩა დათვს ზამთარში ნაწილობრივ სძინავს.
- [ ] ტუჩა დათვი ზამთარშიც ფხიზლობს.

ვ. ცხოველი გრძელი და მოღუნული ბრჭყალებით ხეზე ადვილად ეკიდება. თუკი ტუჩა დათვი ხეზე ადვილად ეკიდება, მაშინ:

- [ ] ტუჩა დათვს აქვს გრძელი ბრჭყალები.
- [ ] ტუჩა დათვს აქვს გრძელი და მოღუნული ბრჭყალები.
- [ ] ტუჩა დათვს აქვს მოღუნული ბრჭყალები.

ტესტი 2

ქართ.II.7.

მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ.,ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

1. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

დიდ, ხმაურიან ქალაქში ცხოვრობდა ერთი კაცი თავის ერთგულ შავთათებიან ძაღლთან, ბროლიასთან, ერთად და მუდამ მშვიდ, ლამაზ ფერმაში ცხოვრებაზე ოცნებობდა.

ერთ მშვენიერ დღეს მან სოფელში ორსართულიანი კოხტა სახლი იყიდა. სახლის გვერდით ვაშლის, მსხლისა და ატმის ბაღი იყო გაშენებული, წინ კი მყუდრო, ამწვანებული ეზო ეკრა. კაცსაც და ბროლიასაც ძალიან მოსწონდათ თავიანთი ახალი სამყოფელი, ზაფხულის მზიან დღეს ეზოში ისვენებდნენ და გემრიელი ხილით იტკბარუნებდნენ პირს.

მალე კაცმა შეიძინა ერთი ძროხა და რამდენიმე ცხვარი, ააშენა ფერმა და ასე აიხდინა ოცნება.

ა. რას ნატრობდა კაცი?

ბ. რა ერქვა კაცის მეგობარ ძაღლს?

გ. რომელი ხეები იდგა სახლის გვერდით?

დ. რა ცხოველები ჰყავდა კაცს ფერმაში?

2. მოიფიქრე და დახატე ამ ამბის რომელიმე ნაწყვეტის ილუსტრაცია.

3. ჩამოთვლილი სიტყვები ხაზით დააკავშირე გამაერთიანებელ სიტყვებთან:

დეკემბერი, იანვარი, თებერვალი	შინაური ცხოველები
მსხალი, ვაშლი, აგამი	ზამთრის თვეები
ძაღლი, ძროხა, ცხვარი	ხილი

4. რომელია დიალოგი და რომელი – თხრობითი ტექსტი? დააკავშირე ხაზებით.

თაროზე ჩემი საყვარელი
წიგნები მიწყვია.
დღეს ერთი წიგნი ჩემს
მეგობარ კატოს ვათხოვე.

დიალოგი

– გიორგი, შეიძლება,
შენთან ვითამაშო?
– რა თქმა უნდა, ანდრო!
– გმადლობ!
– ახლა ჩვენ უკვე მეგობრე-
ბი ვართ.

თხრობითი
ტექსტი

5. დააკვირდი აფიშას და უპასუხე შეკითხვებს.



რომელ კინოთეატრშია
მულტიპლიკაციური ფილმი?

ამ მულტფილმის სათაურია

რომელ საათზე იწყება ჩვენება?